# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ფასი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი.
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი.
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიურათ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ: წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 65.
წელიწადი მეორე
სამშაბათი 28 მაისი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.



ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე.

მაღაზიაში სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობთ ყოველგვარ ელექტრონის გასანათებელი მოწყობილობის მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ, ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით ჰკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შინაით გვერდზე მორიგებით. შორის მიმავალთა განცხადება—ნახევარი ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფული და აგრეთვე სხვა ანგარიშები უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ. редакція газеты ИМЕРЕТИ“ Василію М. Чепидзе.**
ხელნაწერთ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქვრივი მარიამ და ბარბარე კალანდარაშვილისანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ქმრისა და მეორე შვილის

**ერასტი კალანდარაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს, 28 მაისს, საკუთარი სახლიდან სოფ. ნიგოითში, დილის 2 საათზე.



## ოქროს ვერძი

### გამოდის 19 მაისიდან

ქუთაისის ბაზაროვის შესახვევი.



ფარნა ბეჟანის ძე გაბუნია

ქუთაისი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

## გადავიტანე

საკუთარ სახლში, ერთოვლეის ქუჩაზე, შ. ნინის კლუბთა სასწავლებლის პირდაპირ.
მიღებულია დიდძალი საქონელი, იყიდება ჰარტიით და წვრილათ.

პატივისცემით: ფარნა ბ. გაბუნია.



ექიმი ვ. ი. ფეშონი ქირურგიული და სამარგ სნეულნი. 12—2 და 4—6 საათამდე. ..... ქ. გაბაშვილის სახლი.



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საავადმყოფო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ცხიმით სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ქორფულს, მეტ თმიანობას, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავადმყოფობას. აგრეთვე ვუვლი ყვაულებს.
ვეჩენელის ქუჩა, აჩიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.



ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი. ..... ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ..... ..... ქუთაისის ქუჩიდან შესახვევში.



ტრიკო, კასტორი, დიაგონალი, ჩესუჩა, რაგოგი, ტილო, პარუსინა, ბაპტისტი, კისეია, შემიზი, ჩითი.

ქუთაისი.

ფაემზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი & ზ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

## და ზაფხულის საქონი

პოპლინი, მესალინი, ფულარი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პორიბალდი“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



## ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство русскаго общества пароходства и торговли симъ объявляетъ, что 31-го мая сего 1913 года въ складѣ его, на углу Воронцовской и Пушкинской улицъ, въ домѣ Бр. Гокіеловыхъ, будутъ продаваться съ аукціоннаго торга мануфактурные товары, прибывшіе изъ Москвы по коносаменту отъ 29 сентября 1912 года за № 2348, всего двадцать пять кипъ, и непринятые грузохозяиномъ въ установленный §§ 809 и 890 уст. общ. срокъ.

Желающіе торговаться могутъ осмотрѣть продаваемые мануфактурные товары въ агентствѣ ежедневно съ 9 до 12 час. дня.



## განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების ქუთაისის სააგენტო ამით აცხადებს, რომ 31 მაისს ამა 1913 წელს ვორონცოვის და პუშკინის ქუჩების კუთხეზე, ძმათა გოკიელების სახლში, სააგენტოს საქონლის საწყობში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**; გაიყიდება ფართლეულობა, რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან 29 სეკტემბერს 1912 წელს კონოსამენტით № 2348 და რომელიც პატრონმა საზოგადოების წესდების §§ 809 და 810 ძალით დანიშნულ ვადაზე არ გამოიყიდა.

ვაჭრობის მსურველთ გასაყიდი საქონლის დათვალიერება შეუძლიათ ყოველ დღე 9 საათიდან შვადღის 12 საათამდი.


## დღიური.

— ბულგარეთში არა სჯერათ, რომ ბულგარეთ—სერბიას შორის შეთანხმება მოხდება.

— სალონიკში მინისტრთა კრებამ თუ ნაყოფი არაფერი მოიტანა, ისინი პეტერბურგში აღარ შეიკრიბებიან.

— ლონდონში ხმა გავრცელდა— მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრები სამსახურიდან გადიანო.

— ცნობაა—რუმინია ბულგარეთს შეპირდა სერბიასთან მოსალოდნელ ომში დახმარებასო.

— ბულგარლებმა იშციბაზე იერიში მიიტანეს და სერბიელებმა თავიანთი პოზიციიდან უკან დაიხიეს.

— პარიზში ფინანსიურმა კონფერენციამ მუშაობა დაიწყო.

— ინგლისი თხოულობს: ოსმალეთმა თავის ჯარი „ჰამიდიე“ დაითხოვოს.

— სომეხთა პარტია—დაშნაკცუტუნი ოსმალეთის პროვინციებში ავტონომიის განხორციელების საკითხში, არაბთა ნაციონალისტებს შეუთანხმდა.

— სალონიკის მუშათა კავშირმა ბელგრადისა და სოფიას მუშებს მიმართა: მიიღეთ ღონისძიება მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მოსალოდნელი ომის წინააღმდეგო.

— ივნისში პეტერბურგის მექარხნეთა ამხანაგობა კონფერენციას იწვევს გაფიცვის წინააღმდეგ ზომებზე მოსალაპარაკებლათ.

— სახელმწიფო საბჭოს 15 ივლისს დაითხოვენ. სესია პირველ ნოემბერს განახლდება.

— მანჯურიიდან გაზეთი „ლუჩის“ სამი თანამშრომელი გადაასახლეს მუშებში სოციალდემოკრატიული გაზეთების გავრცელებისათვის.

## თავად-აზნაურთა კრების გამო.

თავად-აზნაურთა კრება, როგორც წოდებრივი ინსტიტუტი ჩვენ არ გვაინტერესებს. ამ კრებას და მასში მონაწილეთა მოღვაწეობა-მოქმედებას, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ჩვენ იმდენათ ვუწევთ ანგარიშს, რამდენათ იქ საერთო-სახალხო საქმეებზეა მსჯელობა, რამდენათ იქ სრულიად ერისა და არა წოდების საკითხები სწყდება.

და რაკი ასეთია ჩვენი პოზიცია, ამიტომ არც ჩვენთვის არის საგულისხმო მნიშვნელობას მოკლებული, თუ ვინ არის ამ წოდების სათავეში, ვის უპყრავს მისი საზოგადოებრივი ცხოვრების საქმე.

ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ხნის დიდი სისუსტეა, რომ იმ თავითვე თითქმის მუდამ, როცა სამარშლო კაცს ეძებდა და ეძებს, უთუოთ პირველ რიგში ასეთი პირის არჩევის დროს მას, თავადაზნაურობას, სახეში ქონდა და ახლაც აქვს უპირველესად გვარიშვილობა, ჩამომავლობა და ჩინ-ტემლაკები ასარჩევი პირისა:—დიდი კაცია, სფეროებში გავლენა ექნება, პატივსა სცემენო და მისთანები...

სხვა საუნჯე-სალაროს ასარჩევი პირისას ყურადღებას არ აქცევდა და, სამწუხაროთ, არც ამ ჟამათ აქცევს თავად-აზნაურობა და ხშირათ მოტყუებულა, ბევრჯელ მშრალზე დარჩენილა....

იმერეთის თავად-აზნაურობა დღესაც დაეძებს საწინამძღოლო კაცს, ისეთ პირს, რომელიც მას წინ უნდა გაუძღვეს ყოველ საქმეში და მის „ბრწყინვალებას“ ფერი არ შეუკრთოს.....

ამისთვის საჭირო არაა „არქივებში“ ხელის ფათური...

იქნება, ბევრი არა, მაგრამ მოიძებნება გვარიშვილობა-ჩამომავლობისა და ჩინტემლაკებიანების გარეშეც „ბრწყინვალე სალაროიანი“ ორი-სამიოდე პირი, ვინც უფრო სწორათ და განვითარებულათ შესძლებს წინამძღოლობას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით...

თავად-აზნაურობა ომის ველათ არ იჭრება, რომ საჭირო იყოს მაინცადამაინც ჩავარსკვლავებული პირი დაისვას წინამძღვრათ, მით უმეტეს თუ კი იგი სხვა ღირსებითა და სალაროთი არარის ბრწყინვალე.

უფრო მართებული და სასარგებლოც იქნება, თავად-აზნაურობამ წყარო გამოსძებნოს, მოიწვიოს და თვისი ბედი და წინამძღვრობა დაულოცოს ისეთ პირს, ვინც მას კულტურულათ გაუძღვება; მის საქმეებს განვითარების გზაზე დააყენებს და მთელ ხალხს ერთგულათ, ბეჯითად ემსახურება, ემსახურება იმდენათ, რამდენათაც ეს დღევანდელ პირობებში მოსახერხებელია. და რომ თავად-აზნაურობას დღევანდელ პირობებშიც ბევრი რამ უწყობს ხელს, ბევრი რამ მოეხერხება და შეუძლია გააკეთოს— ესეც მართალია.

ხოლო მართალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მართალსა და სწორ გზას აირჩევს, შენ-ჩემიანობას უკუ აგდებს და ერთადერთ მიზნათ საქვეყნო საქმეს დაისახავს.

## საიმედო ნიშანი.

მსურს, მკითხველო, შენი ყურადღება მივაქციო ქვემოთ დაბეჭდილ ანგარიშს. ეს ანგარიში ძლიერ საგულისხმოთ მიმაჩნია და აი რატომ. ამ სამი წლის წინათ მთელი ქუთაისიდან სულ რამდენიმე პირი ითვლებოდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრათ. დაარსდა თუ არა ქუთაისში ამ საზოგადოების განყოფილება, საქმე დღითიდღე წარმატებით წავიდა. პირველ წლებში 100 წევრი ჩაეწერა და დღეს 500 წევრი ითვლება; გაიმართა შარშან სეირნობა და წმინდა შემოსავალი ათას მანეთს აღემატა, გაიმართა წელს და წმინდა მოგება, როგორც ხედავთ ქვემოთ აღბეჭდილი ანგარიშიდან, 1333 მანეთი მიემატა საზოგადოების თანხას.

აქ ერთი მხრით საყურადღებო და თანაც სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ქუთაისში, სადაც საზოგადოთ სიღარიბეა, საზოგადოება ასეთ ქველმოქმედებას იჩენს საზოგადო საქმეში. ამ მხრით ქუთაისის მაგალითი თითით საჩვენებელია სხვისთვის. მცხოვრებთა რაოდენობის და მათი ნივთიერი შეძლების მიხედვით ასეთი დიდი შემოსავალი მოლოდინს აჭარბებს.

მეორე სასიამოვნო მხარე ამ შემთხვევაში ის არის, რომ, როგორც ხედავ, მკითხველო, უმთავრესი წყარო შემოსავლის: გასაყიდი ნივთები და სანოვაგე სულ უფასოთ იყო ხალხში მოგროვილი, მაშასადამე ცხადია, ამ წმინდა საქმეში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და თავისი წვლილის შეტანით დიდი შემოსავალი მისცა საზოგადოებას. ეს მეტათ სასიამოვნოა. ფულის რაოდენობას ყოველთვის ერთი მნიშვნელობა როდი აქვს. სეირნობაზე რომ ვინმე ერთ მდიდარს ათასი მანეთი შემოეტანა, საერთო ჯამი მაშინაც ეს იქნებოდა, მაგრამ ამ თანხას სულ სხვა ხასიათი ექნებოდა, დღეს კი ეს სხვილი თანხა დიდძალი მცხოვრებლების შეერთებული მოქმედებით არის მოგროვილი და მიტომ უფრო სასიამოვნოა, რომ ცხადი საბუთია ხალხის შეგნებისა და გულწრფელი მოქმედებისა. ეს სულ სხვაა და შემთხვევით შემოსული თანხა სულ სხვა.

აღბეჭდილი ანგარიში ამტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამ ცოტა ხანში— სულ ორი წლის განმავლობაში— ნიადაგი მოიპოვა საქვეყნო საქმის იდეამ. თანაგრძნობა გამოიწვია საეროვნო საჭიროებამ და დღეს ყველა, მდიდარი თუ ღარიბი, თავის თავს მოვალეთ სთვლის მონაწილეობა მიიღოს ამ დიდ საქმეში. ამ მხრით ძვირფასია ის ფარათ სალირალი ნივთი, რომელსაც ღარიბი იძლევა. აი, ეს არის თავდები ძვირფასი მომავალისა. აი, აქ არის საძირკველი საიმედო ერთობისა. წრევანდელმა სეირნობამ აშკარათ დაგვიმტკიცა, რომ წ. კ. ს. მიზანი ხალხმა შეიგნო, ვალათ დაიდვა ყველამ ამ საქმეს ხელი შეუწყოს, ასე რომ ამ მიზნით გამართული სეირნობა თითქმის ეროვნულ დღესასწაულათ გადაიქცა. ეს კი მეტათ საიმედო ნიშანია; ეს ამტკიცებს **ხალხის გამოფხიზლებას, ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას და კულტურული იდეას შეთვისებას.**

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ უწინ ჩვენგან ნათქვამი მწარე სიტყვები საზოგადოების გულცივობის შესახებ, დღეს უადგილოა და ასეთ მაგალითებს შემდეგ ამ სიტყვებს სიამოვნებით ვიბრუნებთ.

ნეტავი საზოგადოება იმდენათ გაუმჯობესდებოდეს და წინ წავიდოდეს, რომ ყოველი საყვედური უწინ მისდამი მიმართული უკან წასაღებათ გაგვიხთებოდეს...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## ახალი ამბავი

— — —

✦ თავად-აზნაურთა კრების სხდომების ანგარიშებს ხვალიდან მივაწოდებთ ჩვენ მკითხველებს. წინანდელ კრებაზე, სხვათა შორის, სამი პირისგან კომისია აირჩიეს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკრებულოს მიერ ნასესხები ფული მოხმარდა თუ არა თეალად ქართული გიმნაზიის შენობის აგებას, ან თუ რაიმე სხვაშიც დაიხარჯა ეს თანხა და სხვ.

საკრებულოს მართებია ქართული გიმნაზიისა ცხრა ათასი მანეთი. ეს ფული საკრებულოს დაუხარჯავს იმ უმაღლესად ნაბოძები ოცი ათასი მანეთიდან, რომელიც ყოველ წლით ქართულ გიმნაზიას უნდა გადაეცეს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს თანხა, ოცი ათასი მანეთი, ამიერიდან გუბერნიის წინამძღოლის სახელით ქარ. გიმნაზიის გამგის სახელზე გამოიწეროს.

იყო სხვა წინადებებიც. სხვათა შორის, გუბერნიის წინამძღოლს დაენიშნოს ჯამაგირი და სამასი თუმნით შემწეობა მიეცეს სახელ. საბჭოს წევრს ა. მ. ერისთავს.

ყველა ხსენებულ წინადადებებს გუშინ ურჩიდენ კენჭს.

✦ გამოვიდა მეორე ნუმერი „ოქროს ვერძისა“. ეს ნუმერიც ჩინებულად არის შედგენილი.

✦ იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, კავკასიის მხარეში მოსამართლეთა თანამდებობის 12 კანდიდატი, რომელნიც პეტერბურგში აღმოსავლეთ, ენების კურსის მომსმენებლებათ იყვნენ, 21 მაისს კავკასიაში გამოგზავნეს. ამათ თან ახლავს კურსების გამგე, ობერ-პროკურორის ამხანაგი ა. ჩერვინსკი. ამათ მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწისა და ბრალდებულის ამხანაგის ვალდებულობა დაეკისრებათ. ისინი პრაქტიკულათ გაეცნობიან მას, რაც კურსებზე ისწავლეს და სამ თვეს შემდეგ სასამართლოებში იმსახურებენ.

✦ ქუთაისის წყალსადენის ყოფილი კონცესიონერი, ინჟინერი მიხაილოვი სამართალში იყო მიცემული. მას უჩიოდენ სასჯელთა დებულების 1199 მუხლის ძალით. მიხაილოვი სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ თფილისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ უკვე გაათავა მოლაპარაკება ნინო ჩხეიძის ასულთან და მიხ. ქორელთან მომავალ ზამთრის სეზონში თფილისის დასში მუშაობის შესახებ.

✦ კვირას 26 მაისს აკურთხეს აქიმი სამსონ თოფურიას ძეგლი, სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მოურავმა ილია ჩიქოვანმა. ძეგლის კურთხევას დიდი საზოგადოება დაესწრო.

✦ საექიმო სიზოგადოების გამგეობის მიერ აქ. ერ. ნასარიძეს მინდობილი ქონდა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ შინაური გარემოების გამო ძეგლის გახსნას ვერ მიუსწრო.

✦ გუშინ წინ გედევანიშვილის პიესის „გამცემის“ გმირი შაქრო ჩვალიშვილი ლიტერატურულმა სასამართლომ გაამართლა.

✦ სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გამართულს სეირნობას ხალხი ბლომათ დაესწრო- ვაჭრობა მარჯვეთ მიდიოდა.

✦ მეორე სათათბიროს დეპუტატის ვ. ლომთათიძის შესახებ „რუსკოე სლოვოში“ შემდეგი ცნობაა მოთავსებული: ლომთათიძე ამ უკანასკნელ ხანებში თფილისის მეტეხის ციხეში ზის. გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა მოთავსებული ცნობა, რომ ის მძიმე ავათმყოფია. მთავრობამაც იცის ეს და აწი მისი ციხეში გაჩერება შეუძლებლათ მიაჩნია. მოსკოვის საპატიმროთა ინსპეკტორმა მიიღო თფილისის გუბერნატორისაგან შეკითხვა და ქალაქის გამგეობას გადისცა. გუბერნატორი ეკითხება — შეიძლება თუ არა ვ. ლომთათიძის მოსკოვის რომელსამე თავშესაფერში მოთავსებაო.

✦ ბაგრატის ტაძრის ზღუდის ამშენებელი კომიტეტი ირგვლივ კედლების შამოშენებას ამ ათ დღეში დაამთავრებს. გალავნის დასავლეთის მხარე ტაძრისა სამხრეთ-ჩრდილოეთის კარებამდი გაწმენდილია და გასწორებული, სადაც ორი არშინის სიმაღლეზე აიღეს ძველი ნანგრევი მიწა და ქვა შამოაცალეს კედელს. დღეს სრულათ კედლის სიმაღლის გამოჩენა თვალს იტაცებს თავისი შვენიერებით. კომიტეტი ახლა შიგნით ტაძრის და გალავნის მეორე ნახევრის გაწმენდას შეუდგა.

სამუშევარი თანდათან რთულდება. საჭიროა, საზოგადოებამ კიდევ თავისი თანაგრძნობა არ მოაკლოს ამ ქართველთა სასიქადულო და დიდებული ნაშთის სასპეტაკოთ შენახვას.

კომიტეტი იძულებულია მიმართოს ჩვენს დაბა-ქალაქებს შემწეობისათვის. ამ კვირაში დაბა ხონს მიემგზავრება კომიტეტის ორი წევრი, ორიც ზესტაფონს და შემდეგ რიგრიგათ სხვაგანაც.

იმედია, საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს ამ საზოგადო და დიდებული საქმისთვის.

✦ 24 მაისს ოლქის სასამართლომ გაარჩია ღვდ. კაპანაძის საქმე. ბრალათ ედებოდა ბოქაულის ფენდარიბოვის სიტყვიერათ შეურაცხყოფა. სასამართლომ კაპანაძე გაამართლა.

✦ ამავე დღეს გაირჩა ბარნაბა ერქომაიშვილის და სიმონ პაიჭაძის საქმე. ამათ ბრალდებოდათ თავდასხმა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და ერქომაიშვილს მიუსაჯა 5. წლ. და 4 თვის კატორგა, პაიჭაძეს კი რვა წლის კატორგა.

## ფიქრთა მორევში.

—

დაღონებული და მწარე ფიქრებით მოცული გამოვალ ხოლმე ხშირათ, ძალიან ხშირათ თავად-აზნაურთა კრებიდან...

აი, ეკამათებიან ერთმანეთს, საჭიროთ სთვლიან თავად-აზნაურთა კრებულს აუწყონ, იმართლონ თავი ამომრჩეველთა წინაშე, იმ ამომრჩეველთა, ვისაც ... წინამძღვრათ ... ურჩევია, ... თავი და სთქვან: ჩემზე მეტი იმან ... [illegible] ... ხშირათ საპირადო ანგარიშები, მე, ჩემი, შენი... დიახ, უფრო ხში...

სავალალოა, რომ ასეთი კინკლაო... ბა... სამწუხაროა, რომ ასე ... აზნაური აზნაურს... და საქმე კი, ... გარბის... არა კეთდება რა...

არც გაკეთდება, როგორც არა გ... ბულა რა დიდი ხანია.

ან კი რა უნდა გაკეთდეს იქ, ... ერთმანეთის კილვა კიცხვაში დრო ... ჯება...

მაშინ გაკეთდება, ოდეს სამუ... იქნება ამ კილვა-კიცხვისა.

მოესწრება ოდესმე ჩვენი თავად... ურმა ამ მაშინ-ს?

საჭიროა ლიკვიდაცია ძველი ... ბის.

**დ. მეს...**

## ღია ბარათი.

—

**აქიმს ვასილ წერეთელს.**

დიდათ პატივცემულო ამხანაგო ... „იმერეთის“ მე 57—ე №—ში ... ცდილობთ „ბოლო მოუღოთ იმ ... მითქმა-მოთქმას და განგაშს“, რომ... გამოუწვევია თურმე ქალაქის საავა... ფოს გამგეთ აქიმი ნემსაძის არჩევამ... ამ არჩევნების მარტო პრინციპიალ... მხარე მაინტერესებს; სახელდობრ ის, ... რითი ხელმძღვანელობდით ამომრჩე... საავათმყოფოს გამგე აქიმის არჩევის დ... როგორც თქვენი განმარტებიდამ ... აქიმი ნემსაძე აგირჩევიათ იმისთვის, „მას ზედმიწევნით შეუსწავლია სისხ... შარდისა და სხვ... კვლევის მეთოდებ... ბაქტერიოლოგია.“ ვთქვათ ეს ასეა, ... განა საკმარისია საავათმყოფოს ... გამგეობაში შარდისა და სისხლის კვლევის ცოდნა, თუნდ ამ ცოდნას ... ტერიოლოგიის ცოდნაც მიუმატოთ ... თალია, ქუთაისის ქალაქის საავათმ... შედარებით პატარაა—ამ პირველ ... წყისში ექნება, მგონია, არა ... 50—60 ავათმყოფის საწოლისა, ... ეს გარემოება სრულებით არა სცვლ... ჭეშმარიტებას, რომ საავათმყოფოს ... ვეში საჭირო იყო ისეთი პირის არ...

---

## ფონეტიკური ეტიუდები.

(გაგძელება იხ. „იმერეთი“ № 62).

**მუხლი** I უფრო გავრცელებულად გვხდებიან და მკვიდრ ტუბალკაჲნურ ბგერებათ უნდა მიჩნეულ იქნენ მეგრულში სასისმიერი სიბილანტები: შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ. კბილისმიერი სიბილანტები — ს, ზ, ც. წ, ძ შედარებით ნაკლებათ გვხდებიან; უმეტეს წილად ისინი იყოფვიან წყვილთანხმოვანად (იხ. მუხლი 2.) ან ეკუთვნიან „მისაბაძავ“ (подражательныя слова), შეთვისებულ და უკვე დისიმილაციის მიერ დამახინჯებულ სიტყვათა (იხ. მუხლი 6.) „ს“ გვხვდება აგრეთვე როგორც შეთვისებული ფორმატივი.

**მუხლი 2.** ყოველ სიბილანტს ტუბალკაჲნურში (განსაკუთრებით კბილისმიერს) აქვს თვისება გაყოფვისა ან გორკეცებისა წყვილთანხმოვანად: მეორე თანხმოვანი ამ წყვილთან — ხმოვანებში ან ხორხისმიერია და ან რბილსასისმიერი (мягконебный—задненебный—велярный); უხმონი ღებულობენ უხმო „კ“—ს: სკ, შკ, ჭკ, წკ (აფრიკატები გარდა ამისა უხმო „ყ“—ს: წყ, ჭყ); ხმიერნი—ხმიერ „ღ-ს: ზღ, ჟღ (ძღ, ჯღ), აფრიკატები (გარდა ამისა) ხმიერ „გ“—ს: ძგ, ჯგ; საშვალნისაშვალ „ქ“—ს (და „ხ“—ს): ცქ, ჩქ (ცხ, ჩხ). ეს წყვილთანხმოვანები ღებულობენ მონაწილეობას ასოციაციაში, შეად. შკა—სერი ‖ სკასკერი (აღვნიშნოთ აქ გაკვრით, რომ „სკა“ უფრო კანონიერი ეკვივალენტია ქართულ „შვა“--სი, ვიდრე: შკა), წუწკი ‖ წკუწკი.

**მუხლი 2.** ტუბალკაჲნურ ლექსიკაში შედარებით ნაკლებად დარჩენილან ისეთი ძირები, რომელნიც **ორ სიბილანტს** შეიცავენ ერთად. ეს ერთის მხრით დაგვანახვებს, თუ რა ძნელია საზოგადოთ სიბილანტების ასსოციაციის კანონების გამოკვლევა: მასალები ნაკლებადაა... მასთანავე თითქმის ერთ კანონს ვერ აღმოვაჩენთ ისეთს, რომ მას რამე კერძო მაგალითი არ წინააღმდეგობდეს. მაგრამ ეს წინააღმდეგობა სრული უარყოფა როდია ფონეტიკურ კანონიერების პრინციპისა; მეტი მასალა რო გვქონდეს შასასწავლებლათ, მეტ დაწვრილებით კანონსაც აღმოვაჩენდით ასოციაციისა, და „წინააღმდეგობის გამწევი“ მაგალითებიც იმ ახალ კანონებში ამოყოფდენ თავს, ამ ახალ კანონებით აიხსნებოდენ, იმიტომ რომ, როგორც მთელ ბუნებაში, ისე ფონეტიკის დარგში არასფელი ხდება უკანონო, კანონიერება განუსაზღვრელად მეფობს ბგერათა ყოველგვარ მოვლენათა დარგში.—მეორეს მხრით თვით ის ფაქტი, რომ მეტად მცირერიცხოვანი არიან თანამედროვე მეგრულ-ჭანურში ორსიბილანტიანი ძირები,—უნდა გვიჩვენებდეს ნათელ მიზეზს ამ მოვლენისა: ეტყობა ტუბალკაჲნურ ენას საზოგადოთ არ ყვარებია სიბილანტების შეყრა ერთ სიტყვაში, ან უკეთ, თვით სიბილანტებს არ ყვარებიათ ერთმანეთი, ე. ი. დისიმილაციონური ანტიპატია მძლავრი ყოფილა სიბილანტებს შორის. მართლაც, ეს უმთავრესი კანონია ტუბალკაჲნურისა, რაც გაკვრით აღვნიშნე წინანდელ „ეტიუდებში„ (ვიმეორებ: ეს მთავარი კანონი ზოგჯერ ირღვევა წვრილმან სპეციალურ კანონებით,—იხ. შემდეგი მუხლი).

**მუხლი 4.** დიდი უმრავლესობა ტუბალკაჲნურ ორსიბილანტიან ძირებისა ეკუთვნის ისეთ ტიპს, როდესაც ძირში მეორდება ერთიდაიგივე სიბილანტი, ე. ი. როდესაც გვაქვს შემდეგი კომბინაციები საფუძველში: ს -ს, შ— შ, წ— წ, ჭ—ჭ, ც—ც, ჩ— ჩ, ძ—ძ, ჯ—ჯ. თავიანთი წარმოშობით შეგვიძლია გავარჩიოთ ამ ტიპში შემდეგი ჯგუფები სიტყვათა: 1) წარმოშობილნი ასიმილაციით მეგრულ (ზოგჯერ იქნებ ტუბალკაჲნურ) ნიადაგზე, როგორც შოშე (шоссе), შაშა (საშა) და სხვ., 2) შეთვისებულნი ქართულიდან, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს ასეთი სახე, მაგ. წიწილი (თუმცა ჭანურადაც: ჭუჭული, რაც დაცულია მეგრულში, როგორც „დამცირებითი“ სიტყვა), ძუძუ, ძიძე, აგრეთვე შეთვისებულნი რუსულიდან, როგორც ზაკაზი და სხვ. 3) წარმოშობილნი სიბილანტის რედუბლიკაციით (განმეორებით) აზრის გასაძლიერებლათ: ა) „მისაბაძავი“ თუ სხვა პსიხოლოგიურ მნიშვნელობათა გამომხატველი ბგერების მატარებელი სიტყვები, როგორც: წირწინი (წრუწუნი), ჭყანჭყუა (ჭეჭყვა), ჭკირჭკინი (ჭრიჭინი), ჭკიპკიტია (ჭიანჭველა) და ბ) მრავალი საკუთარი სახელი და გვარი, როგორც: ცაცუ, ჭუჭუ, ჯაჯუ, ჩაჩა (ვა), ჯღანჯღა (ვა), ძიძა (ვა) და სხვ.

**მუხლი 5.** მეორე ადგილი რიცხვით ორსიბილანტიან ძირების შორის ეკუთვნის ტუბალ-კაჲნურ ენაში ისეთ ტიპს, რომელსაც უკანასკნელ თანხმოვანათ (исходный согласный) საფუძველში უზის „ჯ“ (ამ „ჯ“-ს ქართულში უდრის „რ“). ამგვარი დაცვა ჯ-ანის მატარებელ ორსიბილანტიან ძირებისა პირდაპირ შეკავშირებულია სწორედ იმ გარემოებასთან, რომ ეს „ჯ“-ანი საფუძვლის უკანასკნელ ადგილზე დგას, და სიბილანტების ასოციაციის უმთავრეს კანონით—კი (იხ. 12) უკანასკნელი (თავის ადგილით) სიბილანტები არ განიცდიან ასოციაციის გავლენას თავის თავზე. ამიტომ, როცა ძირში უკანასკნელ „ჯ“-ნს სხვა რომელიმე სიბილანტი ხვდება,—„ჯ“-ანი უცვლელი რჩება, ასსოციაციის გავლენას—კი (ასსიმილაციურს თუ დისსიმლაციურს) მეზობელი სიბილანტი განიცდის თავის თავზე. მით უფრო დიდად უნდა აღსაარებულ იქნეს ეს სიმტკიცე, მუდმივობა საფუძვლის დამაბოლოებელ „ჯ“-ისა, რომ ეს „ჯ“ პირვანდელი არქაიული ბგერა როდია: ის წარმოსდგა *„დ“-სგან[6]); ეს იმას გვიჩვენებს, რომ ის თითქოს სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს სიბილანტების ასოციაციურ გავლენისგან, რომ ის თავის თავზე არ განიცდის ამ ასოციაციას, ვინაიდგან შეიძლო *დ-ონისგან აღმოცენება ისეთ ძირებშიც, რომლებშიც უკვე სიბილანტი მოიპოებოდა (მაგ. ჩვენის აზრით ცუნჯი, არ ქ. *ჩუნჯი წარმოსდგა *ჩუნდი-დან); და მეტიც: არამც თუ შეძლო აღმოცენება მეტად გასაჭირ პირობებში, სიბილანტის გვერდით, და თავიდან აცილება ასოციაციურ (ამ შემთხვევაში—სრულ პარალიზაციონურ) გავლენისა არამედ თვით, ახლად აღმოცენებულმა ბგერამ, დაიმორჩილა ძველი სიბილანტი და გარდაქმნა თავისდა დამზგავსებით თუ განმზგავსებით. როგორც სხვაგან, ისე აქაც არის ორიოდე მაგალითი, სადაც ამ ,,ჯ''-მაც (საფუძვლის დამაბოლოებელი ,,ჯ''-მა) განიცადა მეზობელ სიბილანტის გავლენა (ამ საერთო კანონის მოწინააღმდეგე მაგალითების ახსნის ცდა იხ. მე-4 §-ში).—ხოლო როდესაც „ჯ“ საფუძვლის არა უკანასკნელ ალაგზე იმყოფება და მას შემდეგ სიბილანტი მოყვება,—მაშინ ის თვით იცვლება შემდეგი სიბილანტის ზეგავლენით (იხ. მუხლი 12 და 10).

ეხლა განვმარტოთ თვით კანონები სიბილანტების ასსოციაციის ერთმანეთთან, თანახმად ზემო-აღნიშნულ ორ პრინციპისა: ა) საარტიკულაციო ადგილის შეცვლისა და ბ) ბგერის შინაგან ღირსების შეცვლისა (ე. ი. ხმის, მუსიკალური ტონის და ეკსპირაციის დაკარგვისა ან შეძენისა). ,,ჯ''-ანი ითხოვს ამ პრინციპებით სხვა კანონებს, ვიდრე ყველა სხვა სიბილანტები, ამიტომ განვიხილოთ ცალკე „ჯ“-ის როლი ასოციაციაში და ცალკე ყველა სხვა სიბილანტებისა.

**მუხლი 6. „ჯ“-ი იჩენს ასსოციაციურ გავლენას მხოლოდ ადგილის შეცვლის პრინციპით.** ეს გავლენა გამოიხატება: ა) **ასსიმილაციაში ბგერისა „ძ“**, ე. ი. შეცვლაში „ჯ“-ად; ამის დამამტკიცებელ მაგალითს ვერ მოვიყვანთ, მაგრამ ყოველ დასაბუთებას ჯობია ის ორი ფაქტი, რომ: 1) მეგრულში არ მოიპოება ისეთი ძირი, რომელიც შეიცავდეს კომბინაციას ძ—ჯ და 2) ბევრია ძირი კომბინაციისა ჯ—ჯ: ჯინჯი, ჯიჯი, ჯგ... ჯგუა და სხ. ცხადია, რომ კომბინ... ძ—ჯ ან სრულიად არ ყოფილა არქ... ტუბალკაჲნურში ან-თუ იყო—შეც... მეგრულ ნიადაგზე (ჭანურის შ... იხ. მუხლი 11.) კომბინაციად ჯ... ორივე შემთხვევა ცხად ჰყოფს, რომ ... ასსიმილაციონურ გავლენას იჩენს ... ლზე, და ამ ასსიმილაციონური გ... ნას მხოლოდ საარტიკულაციო ადგ... შეცვლაში შეუძლია გამოსახდეს, ... განც როგორც „ჯ“, ისე ,,ძ'' ... ხმიერი ბგერაა: ბ) **დისსიმილაციას** ... საარტიკულაციო ადგილის შეც... პრინციპით ,,ჯ''-ან მოითხოვს ყ... **სხვა ბგერასგან**, —შეად.:

შ—ჯ ‖ ს—ჯ : ,,შვანჯ'' (დაცულ... ნურში,—მო-სვენ-ება) —მო-სვანჯა.

ჭ ჯ ‖ წ—ჯ : *ჭვანჯ-ი (წვე... წვანჯ-ი.

ჩ—ჯ ‖ ც—ჯ : *ჩუნჯი (ცვარი) ... „ჩხვინჯი„ (ცხვირი)—ც... (დაცულა იმერულში), *ორჩხონჯი (სავარცხელ... ორცხონჯი.

ჟ—ჯ ‖ ზ—ჯ : *ჟოჯუა (ბძანე... ზოჯუა, *ჟოთონჯი (ზამთარი)—... თონჯი, *შეჟოჯი (სიზმარი)—ჭან... მოჯი.

თვით „ჯ“-ის შეცვლაზე იხ. მუხლ...

**მუხლი 7.** წინააღმდეგ „ჯ“-ის ... ბისა, რომელიც მხოლოდ საარტ... ციო ადგილის შეცვლის პრინცი... რჩილება, **სხვა სიბილანტები ხელმ... ნელობენ ერთმანეთზე გავლენის ... მეორე პრინციპითაც: ხმის შინ... ღირსების შეცვლით.** ასოციაცია ... ველ **პრინციპით** (საარტიკულ... **ადგილის შეცვლა**) გამოიხატება ... ველთვის **ასიმილაციაში**; ამას გვ... ბენ უკვე აღნიშნულნი წინანდელ ... უდებში“ მაგალითები როგორც ... სერი—სკასკერი, შოსე—შოშე; ... მაგალითები საკმარისადაა, მოვიყ... ერთს ყველაზე საინტერესოს, რო... თი სიბილანტი **ორი სხვა** სიბილ...

[6]) ასეთია პირადი ჩემი შეხედულება, მისი დასაბუთება იხ. მე-4 §-ში.

# გული კვნესის...

—:—

გული კვნესის, სული შფოთავს, ეჯახება ფიქრი ფიქრებს...
მე ვსუსტდები, ვიტანჯები, სევდა ჩემი ძალას იკრებს...
დავძრწი ობლათ, მარტოთ-მარტო, დავძრწი მთებში, ბარათ, ველათ,
ვინ მოგხედავს ბედით ჩაგრულს, ვინ გაგიწვდის ხელს საშველათ?..

—:—

წამი წამს სდევს, ჟამს სცვლის ჟამი, ყოველივე კვდება, ქრება...
ირგვლივ ბნელა, წყვდიადია, მზის სხივები მენატრება...
გამეფებულს სოფლათ დუმილს ვეგებები ფიქრით მწარით,
სად წავიდე, სად, ან რა ვქნა, ვის მივმართო ვის, მითხარით?!.

—:—

ყველა მღერის, ყველა ხარობს, სევდა ჩემი კი არ სცხრება,
ფიქრთა ტალღა შფოთავს, გმინავს, ცხოვრების კლდეს ენარცხება...
არვინ არის, რომ ხმა გასცეს, უპასუხოს გულის ოხვრას,
ბედის ხელით დანაწერი მწარე ხვედრი ვინ აღმოფხვრას?!

—:—

გული კვნესის, სული შფოთავს, ეჯახება ფიქრი ფიქრებს,
მე ვსუსტდები, ვიტანჯები, სევდა ჩემი ძალას იკრებს...
დავძრწი ობლათ, მარტოთ-მარტო, დავძრწი მთებში, ბარათ, ველათ,
ვინ მოგხედავს ბედით ტანჯულს, ვინ გაგიწვდის ხელს საშველათ?!

23 მაისი. **გუცა.**

# მაღაროს მუშის სიმღერა.

* * *

დაჰკარ წერაქვი... სთხარე მაღარო!
გასძარი ხელი, გასძარ მარჯვენა..
დიდი აკლდამა გადმოანგრიე,—
დაბადებულვართ შრომისთვის ჩვენა!..

* * *

მარად ვმუშაობ... ჩემთვის არ არის,—
არც ცის ლაჟვარდი, არც ნაზი მთვარე...
მხოლოდ აკლდამა... შავი აკლდამა...
გარს მარტოობა... ბედი მწუხარე!..

* * *

ტვირთი მიწაში... შრომა მიწაში...
გარსა წყვდიადი და წუმპე მოვრიე...
შრომისა შვილო, დაჰკარ წერაქვი,—
დიდი აკლდამა გადმოანგრიე!..

**გ. ლეონიძე.**
**ს. პატარძეული.**

---

...ელსაც შესძლებოდა მისი მოვლა და ...რველათ დაყენება; ამისათვის, დამე...მეთ, საკმარისი არ არის მარტო შარ... და სისხლის გამოკვლევის ცოდნა ...არც კლინიკაში მუშაობა.

...ჭიროა ამასთანავე საავათმყოფოს ...ს პრაქტიკულათ ქონდეს შეგნებუ... საავათმყოფოს ადმინისტრატიული და ...რნეო წყობილება და თანამედროვე ...მო მეცნიერების რომელიმე დარგის ...ნა.

...უ აქ დამეთანხმებით, მაშინ ისიც ...ა აღიაროთ, რომ თქვენ არჩევნების დროს შემცდარ ნიადაგზე მდგარხართ.— ამით მე, დარწმუნდით, სრულიად არა მსურს თქვენ მიერ არჩეულს აქიმ ნემსაძეს რაიმე ჩრდილი მივაყენო და ეჭვი გამოვთქვა, რომ მას ცოდნა აკლდეს, როგორც საავათმყოფოს გამგეს. პირიქით, ვფიქრობ – აქიმი ნემსაძე ღირსეულათ გაუძლევბა იმ რთულ საქმეს, რომელიც მას იკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის კანდიდატურას არ წამოაყენებდა. მაგრამ ეს თქვენ—ამომრჩეველთ მაინც არ გამართლებთ. თქვენმიერ მიღებული საზომი კანდიდატების ღირსებათა დასაფასებლათ უვარგისათ მიმაჩნია და შესაძლებელია შემცდარიყავით...

თქვენი პატივისცემელი აქიმი კოსტანტინე ლორთქიფანიძე.

**ბალახანა.**

---

# დეპეში.

**რუსეთი.**

**მოსკოვი.** კრემლის დიდ სასახლეში მეფემ ინახულა ბევრი გენარალი. მიიღო აგრეთვე დეპუტაცია მოსკოვის ერობისა. ამავე სასახლეში გამართეს ნადიმი. მიწვეული იყო 700 პირამდი. ყველა რუსულს ნაციონალურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი.

**პეტერბურგი.** კომისიამ უარყო ესდეკების შეკითხვა პეტერბურგში 4 აპრილს პოლიციელთა ძალმომრეობის ჩადენის შესახებ.

**იაროსლავი.** საუბილეო გამოფენა გაიხსნა.

**მოსკოვი.** მეფემ სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლის სადღეგძელოს საპასუხოთ თავად-აზნაურობის მიმართ სიტყვა წარმოსთქვა.

**მოსკოვი.** კრემლის თოფხანაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი დააქვრეს.

არქიოლოგიური ინსტიტუტის თაოსნობით მოწვეული არქეოლოგთა კრება გაიხსნა. კრებას დაახლოვებით 400 დელეგატი დაესწრო.

**ადესა.** ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები დასრულდა. ხმოსნებათ გაერთიანებულ მონარქისტთა პარტიის კანდიდატები გავიდნენ.

**კიევი.** აგვისტოში აქ სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება მოხდება.

**ვარშავა.** პლოცკიდან ნავთსადგურში ოთხი ბოროტმოქმედი მოვიდა. პოლიციამ მათი დაჭერა განიზრახა. ბოროტმოქმედებმა მოკლეს ორი დარაჯი და ერთი პოლიციელთა ზედამხედველი.

**საზღვარგარეთი.**

**სოფია.** პოლტავის სერობო თვითმართველობიდან გამოგზავნილი სანიტარული რაზმი, პლევნაში რვა თვეს მუშაობას შემდეგ, რუსეთს წავიდა. მუნიციპალიტეტმა გამოსათხოვარი ნადიმი გაუმართა.

**ათინა.** ვენეზილოსი ორ-სამ დღეს შემდეგ სალონიკს წავა. სამხედრო წრეებში იმედი აქვთ, რომ მოკავშირეთა შორის განხეთქილება მწვავე ხასიათს არ მიიღებსო.

**ლონდონი.** სერბიის ფორმულას უკანასკნელათ გაუკეთეს რედაქცია. მთავრების დელეგატთან თათბირს შემდეგ, ეს ფორმულა საბერძნეთისა და ოსმალეთის დელეგატებს გადასცეს განსახილველათ.

**რომი.** სპარსეთის მახლობლათ არაბები აჯანყდენ. აიღეს რამდენიმე სიმაგრე. არაბებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან. შეტაკების დროს 60 ოსმალო და 40 არაბი მოკლეს.

**ბერლინი.** რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო წინადადება ერთდროული სამხედრო გადასახადის მოკრეფის შესახებ

**ლონდონი.** მშვიდობიანობის შესახებ კონფერენციის სხდომა 3 ნახევარს საათს გაგძელდა. სხდომას საბერძნეთის დეპუტატებიც დაესწრენ. ხანგრძლივი მჯელობა ქონდათ ოქმის შედგენის შესახებ.

**ათინა.** ქიამილ-ფაშამ, რომელიც ახლა პირესშია გაზეთის წარმომადგენლებს უთხრა: დაახლოება საბერძნეთისა ოსმალეთთან შესაძლებელია და აუცილებელი საჭიროც". ბერძნებს ბალკანეთის სლავიანებთან მშვიდობიანი ცხოვრება არ შეუძლიათ. ახალგაზდა ოსმალთა მდგომარეობა ძლიერ შეირყა. ქიამილ-ფაშა უარყოფს, ვითომ მას სტამბოლი სხვისი ძალდატანებით დაეტოვებიოს.

**ვენა.** მეფემ უნგრეთის კაბინეტის შედგენა უნგრეთის სეიმის პრეზიდენტს გრაფ ტისეს მიანდო.

**პეკინი.** პარლამენტალური პარტიის დეპუტატებმა ხალხს მოწოდებით მიმართეს: კიცხვენ მთავრობის მოქმედებას და სესხის ქაღალდზე ხელის მოწერას კონსტიტუციონური უფლებათა დარღვევათ სთვლიან.

**მალტა.** 350 ქვეითა ჯარის კაცმა, სკუტარში წასვლის შესახებ ,მოულოდნელი ბძანება მიიღო.

**ბუდაპეშტი.** ოპოზიციონური პრესა ტისეს მიერ შედგენილი ახალი კაბინეტის წინააღმდეგ მწვავე წერილებს ათავსებს.

**ტოკიო.** პარლამენტარისტთა პარტიამ შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა: იაპონიამ ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას ჩრდილოეთსა და სამხრეთ-ჩინეთის განხეთქილების საქმეში. იაპონიამ ამასთანავე თვალყური უნდა ადევნოს, რომ ჩინეთმა სესხათ აღებული ფული სამხედრო საჭიროებისთვის არ მოიხმაროს; შეწყდეს დანარჩენი ფულის სესხათ მიცემა ჩინეთში მშვიდობიანობის დამყარებამდი.

**ლონდონი.** მეფე გიორგიმ კონფერენციის დელეგატები საუზმეზე მიიწვია. „რეიტერის" სააგენტოს ცნობით მეფეს დელეგატებთან იმის შესახებ ქონდა ლაპარაკი, თუ რა დამღუპველი იქნება მათ შორის ომი.

**სოფია.** გაზეთი „მირი" სწერს—გეშოვმა სამსახურიდან გასვლის ნება ამ რამდენიმე დღის წინათაც ითხოვა. მეფემ ოპოზიციის ბელადთა აზრი მოისმინა და დანევს ინახულებს.

**სტამბოლი.** ჩატალჯაში მდგომ ოსმალეთის ჯარს ჯერ კიდევ არ დაითხოვენ. უცდიან პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებას კონტრიბუციის საკითხვის შესახებ. ოსმალეთი კონტრიბუციის მიცემის უარს ამბობს. ჯარის კაცების ჩატალჯში გაჩერება მღელვარებას იწვევს. ხვალ ხონთქარი ილდიზს მოდის. მთავრობის საწინააღმდეგო განცხადების ავტორი პოლიციამ დააპატიმრა.

**სოფია.** მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრების შეხვედრა, ბულგარეთში მინისტრთა კრიზისის გამო, სამი-ოთხი დღით გადაიდვა. სერბიის ელჩი პალაიკოვიჩი ბელგრადს წავიდა.

**ტოკიო.** ჩინეთიდან დაბრუნდა გარეშე საქმეთა ყოფილი მინისტრი კატო. მისი აზრით ჩრდილოეთის და სამხრეთის ჩინელები ცდილობენ დაუახლოვდენ იაპონელებს. ჩინეთის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ხმები ყოფილ მინისტრს გაზვიადებულათ მიაჩნია.

---

# დაბა-სოფელი.

---

**ოკრიბა.**

ამ ბოლო დროს, დასავლეთი საქართველოს კუთხის უმეტეს ნაწილს ცოტათი მაინც ემჩნევა წინსვლელობის ნიშნები კულტურული მხრით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, კიდევ მოინახება ბევრი ისეთი სოფელი და საზოგადოება, რომელნიც ამ წინსვლეულობას ვერ ჩამ-მულან და დღემდი ვერ შეუგნიათ თავის ჩამორჩენილობა და მომავალში თავის დუხჭირ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის არ ფიქრობენ.

ოკრიბაზე მოგახსენებთ.

ოკრიბელი გლეხი თუ აზნაური მუდამ დღე შრომის უღელში გაბმული, დიდ ნივთიერ გაჭირვებაშია და არც უნდა ერთხელ მაინც კითხოს თავის თავს—რაა მიზეზი იმისა, რომ მისმა უზომო შრომამ ვერ შექმნა პირობები, რაც ცოტათ თუ ბევრათ გააუმჯობესებდა მის ადამიანურ ცხოვრებას.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ოკრიბის მხარეში რიგიანი გზის უქონლობა. დღემდის ვერ შეუგნიათ ის, რომ ვინც დაინტერესებულია სოფლის წარმატებით, პირველათ ხელი უნდა მოკიდოს გზების საქმეს.

ქუთაისის მაზრის უფროსმა ბ-ნ კორლანოვმა ყურადღება მიაქცია ოკრიბის გზების უვარგისობას და მისი განკარგულებით გაკეთდა კარგი, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საურმე გზა ქ. ქუთაისიდან რგუნის საზოგადოების სამართველომდი (25 ვერსიი) და აგრეთვე შესწორდა ზოგიერთი სასოფლო გზებიც, მაგრამ ოკრიბის გზების გაუმჯობესებისათვის მარტო ეს არ კმარა. საჭიროა, ამ უპირველეს საქმეს ყურადღებით მოეკცენ როგორც მამასახლისები, ისე ადგილობრივი მცხოვრებნიც. დიდ გაჭირვებაშია უგზოობით მანდიკორის საზოგადოება, განსაკუთრებით კი ზოგიერთი მისი სოფლები: კორიეთი, ციხია, ნაძვა, ბობოთი და სხვა.

გლეხია, თავადი, თუ აზნაური გზის საქმეს ყველა შეერთებული ძალით უნდა უძღოდეს. ყველასთვის ერთნაირათ სასარგებლოა და საჭირო კარგი გზა და მაშასადამე ყველა ერთსულოვნათ უნდა ცდილობდეს მისთვის.

დროა დავანებოთ თავი მეზობლურ კინკლაობას და სასამართლოებში ყოველდღე ტყივლა უბრალოთ სიარულს; დროა ყველა ჩავუფიქრდეთ და საქმისადმი ჩვეულებრივი გულგრილობა, ერთმანეთის ჯიბრი, ზნეობის დამმახინჯებელი „დუქნებ"-ში ქეიფობა თავიდან მოვიშოროთ და საერთო საქმისთვის ვიზრუნოთ შეერთებული ძალით.

**ხრესილიელი.**

---

# ახალი გზა აგარაკ ბახმაროზე

(გურიიდან)

ვისაც ერთი ზაფხული მაინც გაუტარებია ბახმაროზე, კარგათ იცის ამ უკანასკნელის დიდი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე; სიამოვნებით იგონებს ბახმარის თვალწარმტაც და მომხიბლავ ბუნებას. მაგრამ ამ დიდ სარგებლობას ანახევრებს ჯოჯოხეთური გზები. სეზონის გათავების შემდეგ, ბარში ასეთ საყვედურებს გაიგონებთ: „იმ ოხერ გზას რომ არ მოვეკალი, ძლიერ კარგა ვიყავი", ან „მე რაც მოვიმატე გზაში დავკარგეო" და სხვა ასეთებს.

მართლაც ბახმაროზე ასასვლელი გზა ჯოჯოხეთურია, მიუხედავათ იმისა, რომ არსებულ გზებს ყოველწლივ „აპაჩიკებენ" მთავრობის განკარგულებით. კაცთმოყვარეობა მოითხოვს, რომ აგარაკზე ასასვლელი გზა სავარგისი იყოს, რომ ასვლა სუსტსა და ავათმყოფსაც არ უძნელდებოდეს, რადგან ყველაზე მეტათ მათთვის არის საჭირო ასეთი ადგილები. მოგეხსენებათ, რომ ბახმაროზე უმეტეს ნაწილათ სუსტ ფილტვებიანი და ჰლექიანები მიდიან, რომ უკვე დათვლილი დღეები ცოტა მაინც გაახანგძლიონ.

მაგრამ, მათდა საუბედუროთ, საზიზღარი გზების მიზეზით ხშირად "ჯალავრითა" ბრუნდებიან უკან.

ამ ორი წლის წინათ მთავრობის ფიცხელი ბძანებით დასავლეთი გურიის გლეხკაცობა ვაკიჯვრის გზაზე გაიარეს.

---

...ნიებს გავლენას: ერთი მეგრელი ამ...და—„ჩუმაჩეჩი" ე. ი. сумашедшій ...მეჩი—სუმაჩეჩი—ჩუმაჩეჩი).—**მეორე** ...ნციპი (**ბგერის შინაგან ღირსების** ...ვლა) **გამოიხატება დისიმილაციაში:** ...ლი—ზისხირი, *სიცა (სიცილი) ძიცა ...ა-დან) და სხვ. მაშასადამე, თუ ერთ ...მავ ძირში ორმა სხვადასხვა სიბი...ტმა შეიყარა თავი (ამ სიბილანტებში ...-ანს ნუ ვგულისხმობთ, რადგან რო...ც ვხედავდით ის სულ სხვა კანონებს ...თხოვს[7]), მათ ერთმანეთზე შეუძლიათ ...იონ გავლენა და კიდეც ახდენენ ამ ...ენას ყოველთვის ორ გზით: ან ასი...ციით საარტიკულაციო ადგილთა ...ან დისიმილაციით ბგერათა შინაგან ...ერ) ღირსებისა. როდის არჩევენ სი...ანტები ასოციაციის პირველ გზას და ...დის—მეორეს, ეს ჩემთვის სრულიად ...ია, მასალების შედარებითი სიმცირის ... დავსძინოთ ისიც, რომ დისიმილა... გამოიხატება უხმო ან საშვალი ბგე...ხმიერად ქცევაში: წინააღმდეგი გარ...ცევა (ხმიერის—უხმოდ ან საშვალად) ...დამამოწმებია მცირე რიცხვოვან მა...ებში.

...ხლი 8. ყველა ზემო-აღნიშნული ...ნი სიბილანტების ასოციაციისა კარ... თავის ძალას ისეთ სიტყვებში, რომ...ში ერთი სიბილანტი ძირს ეკუთვნის ...მეორე-კი ფორმატივია (ასეთი ფორმა...ებია: ს და შ) ან ეკუთვნის მეორე ...ვის ძირს. მაგალითები: ჟა-შხა (მზის ...) ცაა-შხა (ცის დღე, მაგრამ ჭანურ-...ჩაჩხა! თუ ამ უკანასკნელში—„ჩა", ...უკიდებლად ასიმილაციისგან, პირვან... ტუბალკაჲნურ სახეს გვიჩვენებს „ცი-...რაცსაეჭვოა, მაინც ყურადღება უნ...მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეს ფორმა ...ოლოდ ამ სიტყვაში დაცულიქნა წმინ...—„ჩა", ხოლო ყველგან სხვაგან რო...ც „ცა"—შეთვისებული ქართულიდან)

[7]) ...ფიზიოლოგიურად ვერ ავხსნი, თუ რად ...ს „ჯ" სხვა კანონებს ასოციაციისა, ვიდრე ...სხვა სიბილანტი.

ო-ჭიში | *ო-ჭილე-ში-დან (? შეად. ქართ. წელი), ჭარნეჩი და სხვ. კანონიერ ასოციაციას სიბილანტებისა ამ მაგალითებში არ ვემოწმებით.

**მუხლი.** 9 ფორმატივი-სიბილანტი მხოლოდ მაშინ იჩენს გავლენას საფუძვლის სიბილანტზე, როცა: 1) ორივე სიბილანტი მჭიდროთ მიეწებებიან ერთმანეთს, რაც ხდება მაგ. მიცემით ბრუნვაში ზემო სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში (და არ ყველგან! ქვემო სამეგრელოს მცხოვრები სიცილს დაგიწყებსთ შემდეგ ფორმებზე: ხოძ-ს (მის მაგიერ, რომ ხოჯის—ხარს), კოცს (მის მაგიერ, რომ—კოჩის—კაცს) და სხვ. და 2) როცა დაკარგულია ფორმატივის ფორმალური მნიშვნელობა და მითვლილია საფუძვლის თანხმოვანად, შეად. ძიცა *სი-ცა.

**მუხლი** 10 მაგალითები სიბილანტის სრულ დაკარგვისა რთულ სიბილანტებში (აფრიკატებშიამის,—შესახებ უკვე ვილაპარაკეთ) უფრო ხშირია ჭანურში, თუმცა ეს იცის მეგრულმაც. მაგალითები: *შიშკა—*ჯიშკა—დიშკა (იხ. ამის შესახებ §3 ამ „ეტ-ის"); *სიცა-ძიცა-ჭნ. დიცა; სისხლი—ზისხირი—*ჭნ. ძიცხირი—ჭნ. დიცხირი; *ჯიჭკიჯი—ჭნ. დიჭკიჯი (ამის მიხედვით ქართ. ჯინჭარი წარმოსდგა—*ძიჭარიდან; ჩვეულებრივი ასსიმილაცია) და სხვ.

**მუხლი 11.** რაც შეეხება კერძოთ ჭანურ ენას, იქ მთავარ საკითხებში იგივ პრინციპები და კანონები იჩენენ თავს, რაც მეგრულში; მაგრამ აქ მეტია აუხსნელი ჯერჯერობით წინააღმდეგობა, მაგ. სრული დაკარგვა ასოციაციურ გავლენისა ერთმანეთზე სიბილანტების მიერ ზოგიერთ სიტყვებში (სპიწილი—ერთგვარი ჩიტი—თუმცა ზოგგან: „ზიბზილი" და „სიმსი") ეს უმთავრესად იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჭანურში ბევრი კილოკავებია და სხვა და სხვა კილოკავებში სხვადასხვა წვრილმან განსხვავებას ვამოწმებთ; უეჭველია ისიც, რომ ჭანელებმა განიცადეს დიდი გავლენა სრულიად უცხო სახელმწიფო თურქულ ენისა, რომელს უნდა განეხრწნა ცოტათ თუ ბევრად სამშობლო ფსიხოლოგია ენისა და კერძოთ ფონეტიკისა; ყოველმა ჭანელმა თურქული ბევრად უკეთ იცის, ვიდრე ჭანური. ამ მდგომარეობაში მყოფი ენა, რასაკვირველია, ვერ მოგვცემს იმდენ მასალებს, რამდენს იძლევა (და დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ კიდევ მოგვცემს) მეგრული ენა; და თუ მეგრული ენის მასალები არ კმარან ჩვენი საკითხების სრულ გარდაწყვეტისათვის, რაღა უნდა ითქვას ჭანურზე; ამიტომ გასაკვირალი არ არის, თუ ჭანურში ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი ძნელი ადგილები გვრჩება, ვიდრე მეგრულში.

**მუხლი 12. უმთავრესი კანონი სიბილანტების ასოციაციის მიმართულებისა: ასოციაცია რეგრესიულია**, ე. ი. იცვლება **წინა** ბგერა **შემდეგი** ბგერის ზეგავლენით, და ეს უკანასკნელი კი უცვლელად რჩება. ეს კანონი „ჯ"-ზედაც ვრცელდება, როგორც ვსთქვით,—შეად: ერთის მხრით—*ჭვანჯი | წვანჯი, *ჩუნჯი—ცუნჯი და მეორეს მხრით—*ჯიჭკიჭი | დიჭკიჯი, *ჯაჩხირი 1 დაჩხირი და სხვ. წინააღმდეგი მაგალითები: შოსე | შოშე (თუმცა კანონიერადაც: „სოსე"), ჭანურში: ჭუჭე | ჭუტა (—პატარა) და სხვ. (იხ. §4).

**მუხლი.** 13. კიდე განვიმეორებ: თითქმის ყოველ ზემო-განმარტულ კანონს სიბილანტების ასოციაციისა აქვს (ან შეიძლება გაუჩნდეს) ისეთი ლექსიური ფაქტები, რომელნიც თითქოს უარყოფენ ამ კანონს. ცხადია, რომ ეს ფაქტები, რაღაც სხვა განსაკუთრებითი კანონებზე მიგვითითებენ; მხოლოდ დღესდღეობით შეუძლებელია მათი ახსნა, ჩვენთვის პირადათ მაინც. ამ ჯერ აღმოუჩენელ კანონების ნათელით მოფენას ხელს შეუწყობს ტუბალკაჲნურ დიალექტოლოგიის შესწავლა...

**ნ. ჯორჯიკია.**

(დასასრული იქნება)

# სავაჭრო სახლი გოკიელის შვ-ბი ქუთაის...

**მიღებულია:** შაბიამანი ინგლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნამდვილი „ვერმორელის“ მანქანა, გოგირდის ...

**იყიდება ზომიერ ფასათ.**


(ბახმაროზე ოთხი მხრიდან შეიძლება ასვლა). ამავე დროს აღმოსავლეთი გურიის გლეხები ხიდისთავ--ასკანის გზას მიაყენეს, მაგრამ უკეთესობა არც პირველს დამჩნევია და არც მეორეს, მიზეზი უპლანუწესრიგოთ მუშაობა გახლდათ, თორემ შეუძლებელი იქ არაფერი ყოფილა.

რამოდენიმე ათასი მუშა სოფლის მამასახლისის ხელმძღვანელობით, მხოლოდ „ჯაჭვის“ ბძანებით, ხან ზევით და ხან ქვევით მუშაობს. გაიწვევდენ თუ არა ვაკიჯვრის გზაზე მუშებს, ხიდისთავ—ასკანის „მეთაურები“ ფეხზე იდგენ, „არიქა, ვაკიჯვრიდან გზა გაყავთ, ჩვენ გზას აუქმებენო“. თუკი ვინმე სოფლად გავლენიანი პირი მოიძებნებოდა აფრენდენ ზოგს მაზრის უფროსთან და ზოგს ბოქაულთან. „ბახმარის გზის გაყვანა ჩვენი სოფლიდან სჯობია, პირდაპირიც არის და ადვილიცო. თუ იმ წელს არა, მეორე წელიწადს მაინც მუშების ძალას აქაც სცდიდენ. ცხადია, „მეთაურებს“ საქმის გაკეთება იმდენათ არ აინტერესებდათ, რამდენათაც მათი სოფლის გარეთ დაწყებული საქმის ჩაშლა, ვითომდა, მათ სასახელოთ.

„მეთაურებს ამოქმედებდა ვიწრო, შეუგნებელი თავმოყვარეობა:—“ თუ ჩვენ არ გვექნება, ნუ იქნებაო—აი, მათი მიზანი. ასეთი შენჩემობით ვერც თავისი გაიტანეს და სხვასაც ხელი შეუშალეს.

ამ ორი წლის წინათვე ეს გზა, სხვათა შორის, დაუთვალიერებია სახაზინო მამულების გამგის თანაშემწეს კოვაჩს, რომელიც ბახმაროზე ასულა რამდენიმე პირთან მოულაპარაკია, თუ საიდან ან როგორ სჯობია ბახმაროზე გზის აყვანა.

ბ. კოვაჩის შემდეგ ესვე გზა ქუთ. გუბერნატორის დავალებით დაათვალიერა ოზურგეთის მაზრის უფროსმა, რომელიც შეპირდა ხალხს შუამდგომლობას ინჟინრის გამოგზავნის შესახებ, რომელსაც უნდა გაეყვანა ახალი გზის პლანი.

რამდენიმე თვეს შემდეგ მართლაც ჩამოვიდენ ინჟინრები, მაგრამ, ვინაიდან მათი ჩამოსვლა უდროვო იყო, (ჭინახულების ალებისდრო) პლანის გასაყვანათ საჭირო მუშა ხელი ვერ იშოვნეს და გამწყრალი უკან გაბრუნდენ. ამას შემდეგ გზის საქმე კარგა ხანს მიყუჩდა, მალე ზამთარიც დადგა. გაზაფხულდა თუ არა ჩოხატაურის ბოქაულს მოსდის ბძანება, გაიწვიოს ახალ გზაზე მუშები. მარტის შუა რიცხვებში მუშაობაც იწყება და გძელდება თვის დამლევამდი. მუშებს ხელმძღვანელობს ბოქაულის თანაშემწე ბ. ლორთქიფანიძე. მთავრობის პროექტით გზა უნდა დარჩეს სიფართით 6 არშინი, იქნას საეტლო ინჟინრის პლანისა; ამასთან მთავრობა პირდება, თუ ხსენებული პლანის გზას გაიყვანენ, საჭირო ხრეში სახაზინო იქნება და გზაც სახაზინოთ დამცკიცდებაო. მცოდნე პირების ნავარაუდევით, ამ გზის გაყვანა, რომ ფულზე გაიცეს, დასჭირდება ას ორმოცდა ათ ათასზე მეტი მანეთი. ამდენი თანხა უნდა გადაიხადოს 9 საზოგადოებამ. გასულ წელს ეს გზა გაიზომა ხალხის არჩეულ კომისიების მიერ და განაწილდა თითოეულ საზოგადოებაზე. რამდენიმე საზოგადოებამ ფულზე გასცა თავისი წილი, ზოგი თვითონ მუშაობს, მაგრამ ყველა კი უპლანოთ. ასეთი რთული გზა, ჩემი აზრით აუცილებლათ ინჟინრის პლანით უნდა გაიყვანონ, ვინაიდან უპლანოთ გაყვანილი გზა შესაძლებელია მთავრობამ არ დაამტკიცოს.

ეს გარემოება კი დიდათ საზარალო იქნება ხალხისთვის და ამას თავის ქვეყნის გულშემატკივარი არაოდეს არ ჩაიდენს. ამასთანავე უნდა მოვახსენოთ, რომ, ჩემი აზრით, უკანონობა იქნება ეს ყველასათვის სასარგებლო გზის გაკეთება მარტო ჩოხატაურის საბოქაულოს დავალოს, როცა ეს გზა დიდათ სასარგებლო იქნება მთელი გურიისთვის.

**კ. მიმინაიშვილი.**

## ანგარიში

ქალაქის ბაღში 5 მაისს გამართული სეირნობა—ბაზრისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ.

**შემოსავალი:** 1. შემოსასვლელი ბილეთებიდან 519 მან. 3 შ., 2. ბაზრიდან 374 მან. 92 კაპ. 3. ბედის კასრიდან 122 მან. 24 კაპ. 4. სხვადასხვა გასართობიდან 136 მან. 7 შ. 5. ყვავილებიდან, ფოსტიდან, შამპანურიდან, კამფეტიდან 226 მან. 10 შ. 6. ბუფეტიდან, ჩაიდან, ვახშმიდან, ნაყინვიდან 154 მან. 41 კაპ. 7. ბროშიურებიდან 8 მ. 12 კ. 8. შეწირულობა ფულათ 170 მან. სულ 1711 მან. 69 კაპ.

**გასავალი:** 1. ბილეთები და მარკები 61 მან. 2. განათება 60 მან. 3. მუსიკა და ზურნა 39 მან. 4. ჯარის კაცებს კარვების გასაშლელი 6 მან. 5. მაშხალები, მიტრალიეზები 24 მან. 6. მასალა სხვადასხვა ხელთა საქმისათვის 65 მან. 18 შ. 7. აფიშების დაბეჭდვა, გაკვრა, და ქაღალდი 13 მან. 42 კაპ. 8. კამფეტი და კონფიტის მომზადება 29 მან. 18 შ. 9. ხის მასალა ნივთების დასაწყობ თაროებისათვის და სხვა და სხვა გასართობების მოსაწყობათ 20 მან. 13 კაპ. 10. ხილი, ღვინო, პური, სანთელი და სხვა წვრიმალი ხარჯი 23 მან 11 მუშები 25 მან. 12. პატენტი 10 მან. 15 შ. სულ 378 მან. 2 შ.

წმინდა შემოსავალია—1333 მ. 59 კ.

განყოფილების გამგეობა ულრმესს და გულითად მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც შემოსწირეს ნივთები, ხელნასაქმი, ფული, სასმელი, სანოვაგე და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც თუ შეწირულებათა შეგროვებით და თუ სხვაფრივ თანაგრძნობა და დახმარება გაუწიეს წერა-კითხვის საზოგადოების ქუთათური განყოფილების მიერ გამართულ სეირნობას.

გამგეობის მონდობილობით **მარიამ ვარდასანიძის ასული და მელანია გველესიანისა.**

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.


## აქიმი ი. ჩარექოვი

აცხადებს რომ, იგი აღარ ასრულებს სასანიტარო აქიმის თანამდებობას, რადგან დაინიშნა ქალაქის ახალი საავათმყოფოს **კანის და ვენერიულის განყოფილების მართველათ.**

გამოცდილი მოანგარიშე

## დაეძებს

მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში. იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.

**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ.; სახ. 11 საათ. 9 წ. დილ.


დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელის თამბაქოს ქარხანა.

# ნ. ს. ბოზარჯიანცის

შვ-სა. თფილისში.

რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ჩვენი თამბაქოს მომხმარებელთა, რომელთა რიცხვი თან და თან მატულობს, ჩვენ რამდენიმე ახალი მანქანა შევიძინეთ.

ამ ჟამათ დიდი გასავალი აქვს ყოველდღიურათ: **„სიმპატია“** და „მე-8 №“ 10 ცალი 6 კაპ. გადის 500,000 ც. **„დრუჟბა“** და **„ტოვარიშჩ“** 20 ცალი 1 შ.—700,000„ ც. მარტივი და იაფი გასახვევი ხელს გვაძლევს, რომ საუკეთესო ღირსების საქონელი მივაწოდოთ. ფირმის პაპიროსები ყველგან იყიდება, უფთხილდით უსირცხვილო სიყალბეს. ფირმა არსებობს 1859 წლიდან.

# ☛ წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ ☚

თანახმათ სადავათიან პირობებისა ვინც მეორე ნახევარ ხვედრ ფულს არ

შემოიტანს

# გაზეთის გზავნა მოესპობათ.

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის ... ოლქში ... სასახლის ... სტეფანეს ძის ნემსა-მალცევის ბუქსკის მინების ქარხნისა, ... განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „Земское“ რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ. ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ. ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

# აბანო

## ძმ. ყორყოლაძეებისა

**მიმართეთ პირდაპირ**

**15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.**

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველთვიურ ჟურნალ

# „განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

# „შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

**რედ. ღვ. ს. მჭედლი...**

გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სახალხო გაზეთზე“

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა ... ზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

**პრემიათ** წლიური ხელის მომწერნი 1913 წლის განმავლობაში **მიიღ...**

## ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები. ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ... ეკენისთვეში.

**გაზეთის ფასი;** როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ, 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. ... ჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით. **ხელისმოწერა გამართულია.** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქ. ... ჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо ... поч. ящ. 190.



# ნ. ს. ფერარი.

ქუთაისი. ქარვასლის ქუჩა.

## სპეციალური სავაჭრო

**ნავთის კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელი.**

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეული.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები.




სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა სახლი № 17.